



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/14

ქ. თბილისი

21 აპრილი 2018


**„სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესის“ დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2018 წლის 6 მარტის №27 წერილის და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2018 წლის 21 მარტის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, პასუხისმგებლობის გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი“ წარმოდგენილი სახით;
2. ეთხოვოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს აღნიშნული წესით გათვალისწინებული სტუ-ის სუბიექტებისათვის ჩაატაროს სათანადო ტრენინგი;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გაბაშვილი